

# მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ

№ 47

1917

## უკანასკნელი სერსი



ქურდი. ამხანაგებო! თქვენ გინდათ თავი ქვით გამოიქეცყოთ. განა ეს არის ახალი მთაწარის მომხრეობა? აი წაიკითხეთ; იქა სწვრია გაუფრთხილდით, გ. ი. არაფერი ავნოთ ქურდებსო.



საქართველო  
საბჭოთაო

# ეშმაკის დეკრეტები

ლიტატურა ეშმაკის პირდაპირ დეკრეტებით დაიწყო. ამხანაგებო, ბურჟუაზიას (იგულისხმეთ ანგელოზები) თქვენთვის არავითარი სიკეთე არა სურს. სასტიკი ომი მათ. თქვენი ინტერესების დაკმაყოფილება მხოლოდ ეშმაკს შეუძლია.

### დეკრეტი № 1.

თფილისი. ბოძებულია ჩშიზ-სა წელსა, ნოემბრის 14-სა დღესა.

უწინარეს ყოვლისა მიეცეს ყოველ მოქალაქეს დღე-ში ხუთ-ხუთი გირვანქა თეთრი ზური (შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში ხაჭაპურიც). მიეცეს დილა-სადამის ჩაი რძით, კარაქით და კვერცხებით (შეიძლება სურვილისამებრ ყავიც). მიეცეს სადილათ თხიხი ხელი საჭმელი (სუკის შწავდი აუცილებელია, რადგან რგებს ადამიანის მუცლისა). თითო ბოთლი ღვინო და შწვინილეულობა. მიეცეს საღამოთი მსუბუქი ვახშამი, რათა ძილი არ გაუკრთეს. ამგვარათ უხრუნველყოფით ჩვენ მოქალაქეთ სურსათის მხრით.

### ჯოჯოხეთის დეკრეტორი ეშმაკი.

შენიშვნა: შეიძლება ეს კეთილშობილური სურვილი ჯოჯოხეთის მმართველისა არ ასრულდეს, მაგრამ დამერწმუნებით, დანაშაული ბნ ეშმაკისა არ იქნება. მან ხომ კეთილ-ინება და დართონება მიცემისა, ხოლო თუ მის კეთილ განზრახვას არ ასრულებენ, დანაშაული, რა თქმა უნდა, ის იქნება, ვინც არ აძლევს.

### დეკრეტი № 2.

თფილისი. ბოძებულია ჩშიზ-სა წელსა, ნოემბრის 16-სა დღესა.

დეკრეტორი სრულიად ჯოჯოხეთისა ეშმაკი, ვაგდადებ საყოველთაო სასმენად: მიეცეს თითოეულ მოქალაქეს ოც-ოცი დესეტინას სხსხე-სათესი მიწა; ათ-ათი დესეტინას ტყე; ორმოც-ორმოცი დესეტინას სათბაი და საბაღისა; ხუთი-ხუთი დესეტინას ბაღი ხეხილისა, ან ვახანი (სურვილისამებრ); ცხრა-ცხრა დესეტინას სიმოსხ-

ლო; თითო დესეტინას ნეთის წყაროანი ადგილები, ან ორ-ორი დესეტინას მადნეული მიწები.

დეკრეტორი ჯოჯოხეთისა ეშმაკი.

შენიშვნა: აქაც შეიძლება არ ასრულდეს ხალხის საკეთილდღეო განზრახვა პარტიკულური ეშმაკისა და ხალხის მტრებმა არ მისცენ მას ის სრულიად სამართლიანი ნაწილი სატყვერო სიმდიდრისა, რომელსაც ბნი დეკრეტორი იძლევა, მაგრამ აქაც დანაშაული არა ეშმაკი, არამედ ის იქნება, ვინც არ აძლევს ხალხს ამ ულუფას. მიწის საკითხი მართლაც რომ უმტიკინეულოთ არის გადაწყვეტილი ეშმაკის მიერ.

### დეკრეტი № 3.

თფილისი. ბოძებულია ჩშიზ-სა წელსა, ნოემბრის 16-სა დღესა.

ჩვენ, მმართველ დეკრეტორი ჯოჯოხეთისა, ეშმაკი, გზრახვით: მიეცეს თითოეულ მოქალაქეს თითო ქარხნას რომელიმე საწარმოთ დარგისა. სამუშაო დღე განინახდებოდეს სათ-ნახევრით, ხოლო მინიმუმი დღეური ხელფასისა სამოცი მანეთით, თუ რომ მანეთის კურსი უმეტეს არ ღაგდა. მოსიხოს ნაჭრობით და არა ნაჭრობით მუშაობა.

### ეშმაკი, დეკრეტორი ჯოჯოხეთისა.

შენიშვნა: არც ერთ დეკრეტორს ასე არ გაუღრმავებია მუშათა საკითხი, როგორც ეს მოიმოქმედა სახელოვანმა დეკრეტორმა ეშმაკმა. ის თითოეულ მუშას აძლევს თითო ქარხანას, სათ-ნახევრის სამუშაო დღეს და სამოც მანეთის დღეური ხელფასს. ასეთია მისი სურვილი, მაგრამ შეიძლება ეს სისრულეში არ მოიყვანონ. დანაშაული, რასაკვირველია, ეშმაკს არ დააწვება, ის არ ზოგავს, აძლევს.

### დეკრეტი № 4.

თფილისი. ბოძებულია ჩშიზ-სა წელსა, ნოემბრის 17-სა დღესა.

მიეცეს ყოველ მოქალაქეს ორ-ორ სართელთან თლილი ქვის სახელი ქაღალტებში (საუკეთესო ქუჩებზე). მიეცეს თითო სართელთან (7 ოთახი) საჯარაკო სახლები წარწინებულ საჯარაკო ადგილებში. მიეცეს მოკვლეულ ტყეებზე სამკვარით თითო ატომობილი, ხოლო რკინის გზისათვის საღონ-ფარგები. ვისაც კუდას



სისუსტე არ დასდევს, შთა შეიქნეს თითო ჭერობჯანი ბღერიოს სისტემის. ეტლითა და ცხენებით სარგებლობა, რა თქმა უნდა, უფასო იქნეს ვეუფასათვის. ზღვის ზირად მდსოფრებთ შეიქნეს თითო ახსტა „ზოღაირული ვარსკვლავის“ ტიპისა.

დაქტატორი ეშმაკი.

შენიშვნა: ზედმეტია ლაპარაკი ამ დეკრეტში აღნიშნულ ბოძებათა სარგებლობის შესახებ. ჩვენ გვბეგებადობა მხოლოდ იმაში, რომ ბნი ეშმაკის კეთილ სურვილებს ასეთივე კეთილი აღმასრულებელი დაურჩეს.

დემარტი № 5.

თფიდაისი. ბოძებუდა ჩნიშ-სა წელსა, ნოემბრის 18-სა დღესა.

„ომი კაცობრიობისათვის ერთობ მუხნებუდა. ძმა ძმის სისხლსა ღვრის და ძმა ძმის კეთილდღეობას ახსნატებს. იღუბება მრავალი წლის კულტურა და ხელხი პირველ უთფიე მდგომარეობას უბრუნდება. ჰურცხელი ქნურტია, სიმდიდრე და დრო იხარუება ამ უსარგებლო საქმეზე. უფელა ის უბედურებანი, რომელთაც ჩვენ უგვე მოუფუთვეთ მადამო და განკურნეთ, ომისაგან არის გამოწყვეუდა. ამიტომ ჩვენ ვსწამობ თფთ ომს. შიისძის ომი!

დაქტატორი ეშმაკი.

შენიშვნა. აღსრულდა! ბოლო მოეღო დროებით მთავრობათა ყოყმანს. ერთის კალმის მოსმით გულის შემზარავი ომი სამუდამოთ მოიხპო. აღარ უნდა მოჰქლას ძმამ ძმა, აღარ უნდა გააჩანავოს ძმამ ძმის კეთილდღეობა. ნუ თუ ვიფიქროთ, რომ ამ კეთილშობილურ სურვილს ვინმე წინა აღუდგება? ვინ იცის! შეიძლება ბნ ეშმაკის კეთილი სურვილი აქაც ხმად მღალადებლისად დარჩეს.

ისტორიკოსი.

ლია შერილი

ჩამი პალტოს წამღებს

ამხანაგო! შენ რომ იცოდღე, ამ წუთში რა სულიერ ტრავდიას განვიცდო, მერწმუნე, თუმცა ჩემი ამხანაგები მეობნებიან—შენი პალტოს წამღები უგულუო აღაშინი ყოფილაო,—მაგრამ მე შინც

მჯერა—შეგებრალებოდი. ამა წინააღმდეგ ჩემი მდგომარეობა! სუსხიანი შემოდგომა! წინა სამართარი ასეთი სიძვირე, კლექით ავიდმყოფი, ზიხარ და თვალტრემლიანი სწერ შენი პალტოს ნეკროლოგს! მერე რომელს? მეორეს! წელს შიისზიც სწორედ ქართულ კლუბში, იმეფ აღოგას ამჟალდეს პირველი პალტო. მართალი გითხრა, გულში კიდევ დავიმაღლდე მისი წაღება, რადგან ძველი იყო და რომ არ წაველა ახალს არ ვიყიდდი, მაგრამ მეორეს წაღება კი ძალიან მეწყინა. ამა წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა! ქართველ მსახიობს ამ სიძვირეში განა შეუძლია პალტოს ყიდვა? უნდა სახანში გავეხვიო და ვიჯდე სახლში; და თუ სახლში დავჯექ და არ ვიშეშავე, უნდა სიმშლით მოგვედღე. შენ მეტყვი—გადაახდევინეო? მერე ვის უნდა გადავხდევინო? მე და შენისთანა პაროლტარებს, კლუბის კაპტლინერებს! არა, მე დარწმუნებული ვარ, შენ ამას არ იკალტებ! შენ კიდევ შეგიძლიან იშოვო! მე გატყობ, შოგნის უნარი გაქვს, მე-კი ამ უნარს მოკლებული ვარ თქვე დლოცვილებო, რაღა ჩემს პალტოში ეცემით ხოლმე? შე ამას კი არ გასაყვედურებთ! აღზად შეცდომით ჩილინე ევა. პალტოს მარცხენა ჯიბეში პიესა „ჰენშელის“ როლია; ჰო და როცა იმ როლს დაინახავ, მისვდები რომ პალტო ქართველი მსახიობისა და დარწმუნებული ვარ, შენს შეცდომას გაასწორებ,—მოიტან!

შედგისა ნუ გვიჭიკება. გაძლევ პატიოსან სიტყვას, ეს საიდუმლო სამარეში თან ჩამყვება. ვემყარები შენს სინდისს და იმედს არა ვკარავ. ვალ. შალიკაშვილი. („სახალხო საქმე“)

ლია კანსუხი

შალმჩინ შალიკაშვილს\*.)

მოწყალეო ხელმწიფე! გუშინ წინ მოაბეულო პალტოს ჯიბეში შემთხვევით აღმოჩნდა გაზ. „სახალხო საქმე“, სადაც შენი წერილი იყო მოთავსებული. ერთობ ახირებული ვინმე ყოფილხართ ბნო ვალტრინან. ვერ გამიგია, რა არის ჩვენ შორის სა-

\*)რედაქცია ზოგაერთ ტენისებში არ ეთანხმება პარტფემულ ქურდს, მაგრამ სამართლიანობის აღსადგენად წერილს შინც ბუქდას.



ერთი, რომ „ამხანაგს“ მიძახით? შეიძლება ასეთ სართო სხვათ შენი პალტო ღისახოს, მაგრამ დღეს დღემოთ პალტო იგი კერძო საკუთრებას შეადგენს და ამგვარათ ეს ერთი ნიღაგიც გამოეცალა ჩვენს „ამხანაგს“.

ჩემის ღრმა რწმენით შენ ცოტა მსუბუთი ეპყრობი სიტყვა „ამხანაგს“. ნუთუ ფიქრობ ბნო ვალერიან, რომ თუილ ოთახში სცენაზე ხტუნვა საბაბს გაძღვეს „ამხანაგი“ დამიძახო? ოპ, რა შემდარი ხარ? ჯერ გამოსცადე, ჩემო კარგო, ის შიში, თრთოლვა და გულის კანკალი, რომელსაც ჩვენ თითოული ქურდობის დროს ვცდით; გამოდი რომელიმე სახლიდან მშვიდობით, გამოსცადე შრომა მილიციონერთა, შეეზოვეთა და მსახურებთან მოლაპარაკებისა; დაემაღე შემთხვევით ვამფელეთ და შემდეგ ჩამომიგდე ლაპარაკი „ამხანაგობაზე“.

შენ იწერებ: „რომ იცოდე ამ წუთში რა სულიერ ტრაგედიას განვიცდი, მეგერა შეგებრილგ ბოდიო“. ოპ არტისტებო, არტისტებო! თქვენ ქეშაბიტათ „სულიერი ტრაგედიის“ მოხელეები ხართ. ისე მიჩვეული ხართ სცენიურ ხელოვნებას, რომ საკმარისია კაცში ერთი პალტო მოგაშოროს, უკვე მშათ არის „სულიერი ტრაგედია“.

„შენ კიდევ შეგიძლია იშოვნო სხვა პალტო; შე კი ამ შოვნის უნარს მოკლებული ვარო“ უსურცხვილოთ სწერ ბნო მსახიობო და თან „ამხანაგს“ მეძახი. შე კი კაცო, თუკი სულიერი ტრაგედიების მოხდენა შეგიძლია სცადე, იქნება პალტოც იშოვო. ჯერ ხომ არ გიცდია და მიკირს გულს რატომ იტებ. „როცა გაიგებ, რომ პალტო ქართველი მსახიობისაა, იმეღია მოიტან; შედეგისა ნუ გეფიქრებო“. ჩინებული აზრია! რის წვითა და დავით შეძენილა პალტო უნდა მოგიტანო და შედეგისა ნუ შემეშინება. განა ის არა სჯობია. პალტოც დამრჩეს და შედეგიც? „ვემყარები შენს სინდისს და იმედს არ ვკარგავო“ განაგრძნობთ თქვენ. ასეა ჩემო კარგო: განა ის არა სჯობდა იმედი დგაკარგოდათ და პალტო კი არა?

პალტოს ქურდი.

# პ ა ს ს ა

ჩემი ქმობილი ვასია.  
მობერხებული ბიჭია;  
მას საამისო ცოდნასთან,  
შესწევს ძალა და ნიჭია.  
იცის სად როგორ მოიქცეს,  
რა დროს რა საქმე სჭირია;  
წარმოსთქვამს ბრტყელ ბრტყელ სიტყვას,  
მოშაქრული აქვს პირია...


როდესაც თავისუფლება,  
თავის ნაწინარი ფრთებითა;  
პეტროგრადიდან ვვეტუმრა,  
მარსელიოზის მღერითა;—  
ხალხი წითელი დროშებით,  
ქუჩაზე გამოდიოდა;  
თავისუფლების სიტყვები,  
სუვეყელს ბაგეთ სცვიოდა:—

გამოხტა ჩენი ვასია,  
აიქა ტრიბუნაზედა;  
გამოიქიმა ხალხისწინ,  
ქუდი გაღიძრო თავზედა,—  
დასქვქა სიტყვა მედგარი,  
რასპუტინ; მინასტრებზედა;  
და გაილაშქრა ერთ პირად,  
თავისუფლების მტრებზედა...

ხალხში ვაისმა ჩურჩული:  
„ეს ვასო რა ყოფილაო;  
გულში ორდერებს ეძებდა.  
დღეს კი სულ ვარდაქნილაო“...  
და დეოავს ვასო... სიტყვები  
მოღის პირიდან ნარანარად;  
მუშტებსა იქნევს პაერში  
სახეს ოფლი სდის კაშარად...

დათავდა. ტაში დაუქრეს;—  
ხელით ატარეს ვასია,  
თითქმის ეს შორე იშოვეს  
თავისუფლების ფასია,  
და სცადე ხდებო კრებებში,  
მიღის და ტკბილით ქადაგებს;  
ამ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს თითქოსაც  
ჯიბებშიდან ალაგებს.

ხან თავჯდომარედ, ირჩვენ  
ხანღის-ხან კიდევ მღივნათა;



# დ ე ვ ე შ ე მ ე ი

(ბუტუნას სააგენტო).

„რეველიუციას ბელადობს“  
და თავი მოქვეს დიდათა...  
პა აღმატებაც მიიღო,  
თფილ ალავს დაეპატრონა;  
სულ აღრ ახსოვს კერებენი,  
არმოშიკვდება მატრონა.

გადის დრო, გადის ხანაცა,  
აღარსადა სჩანს ვასია;  
იმას ქებასთან თან და თან  
ხალხში აკლდება ფასია.  
უწინ თუ ერთთვის არჰყავდა  
იმას შრომაში ცალია,  
დღეს თფილ ალავზე სადილობს,  
შრომისთვის აღარ სცალია...

როკოკო.

შმაო რედაქტორო!  
(ჩემო პედაგოგო...)  
აუსრულე, რასაც  
გთხოვს შენი „როკოკო“.  
ფინანსები სუსტობს,  
მარჩობს სიღარიბე  
ათასმა ხარჯებმა  
ღამიცალა ჯიბე.  
გთხოვ: მიგზავნო შენი  
ჟურნალის ცალები,  
თორემ მისი ყიდვის  
არ შემწეებს ძალები.

ბ—კო.

## დ ე კ რ ი ბ ი


ინიდლორე კვიცარიძეს.

ძმაო ისიდორე,  
პრესის კომისარო!  
როკოკოს სურვილი  
გთხოვ შეის შოაგვარო.

ეშმაკი.

ლინჩსუთი. ქალაქის არჩენები ესდევნის ჩვე-  
ულებრივი გამარჯვებით დამთავრდა. მოულოდნე-  
ლათ დიბადა ერთი თავესატები კითხვა: საარჩევნო  
ბიურო ბლოკია შეეკრავებრებს, რომლებმაც 2 ხმოს-  
ანი მოითხოვეს: (შდგელი და ექიმი) ისინი სა-  
არჩევნო ბიურომ ხიზნოსნო სიის პირველ და მეო-  
რე ნომერზე დასვა, ხოლო გაზეთმა ს. დ. ხსენე-  
ბული 1 და 2 კიდილატი 19 და 20 ნომერზე  
შოაქცია. ამგვართ პრესაში გამოცხადების მიხედვით  
ვაქრების კანდიდატები: ექიმი და შდგელია გაშა-  
ვებულია, რადგან 2 ხმოსანი ფედერალისტებმა გა-  
იყვანეს, ხოლო საარჩევნო ბიუროს გაამარტებით  
ვაქრების ხმოსნები გათორდენ ხოლო 17 და 18  
ნომერი გაშავდენ. 17 და 18 ნომერი კი თფიცალ  
განცხადებას ეყრდნობა და ხმოსნობას თავს არ ანე-  
ბებს. საჭიროა ეშმაკი თავის იარაღებით, რათა სა-  
დაო საკითხი გადასჭრას.

„ზოგი ქირი მარგებალია კაცისა“ იი  
მეცნიერული და თან პოეტური მარცვალი,  
რომელშიაც კიანთობს მთელი მატერიალიტუ-  
რი ამოცანა. ზოგი ქირი რომ მარგებელია ამის  
დადასტურებას პირადი გამოცდილებითაც ვებდავ-  
მაგალითისათვის ინებეთ უტყუარი ფაქტი. ეზღან-  
დელ სოფლის ცხოვრებაში (ქალაქში კლდე უარე-  
სი) ოჯახში მკვადი და ტარანა თუ იშოვე ხომ დი-  
დი ბედნიერი ხართ. ამა ქათამი საკალანდოდაც  
გასაქირი იქნება როგორც შოგვხსენებათ, და მე,  
როდესაც უბრალო დღეს ქათამი მომართვეს სადი-  
ლათ საკუთარ ჩემ სახლი, კითხვა ვეღარ გავბედე,  
სიხარულით ვიფიქრე: ჩემს დიასახლისს იც მოვეს-  
წონვარ, რომ ქათამსაც იმეტებს ჩემ საბატოთ  
მეთქი. შირა მეორე დღეს რომ კლდე სახლის მამ-  
ლის ბიბილიონი თავი მომარტვეს ამან ყოველ  
შოლოდინს ვადაქარა და ვეღარ მოვითმინე ჩემი  
დროს მიჩვენებელი მამლის ასე ვერავულათ ვამე-  
ტება და განციფრებულმა შევხედე ჩემს მოლო-  
ზონს. მან შეკითხვამი მიბასუბა „შენთვის ქათამს  
ვინ დაკვლიდა ქათმის ქირს რომ არ ამოფედგო“.  
თურმე ქათმის ქირმა გამახსნილებია და მაშინვე  
მოშოგონდა თქმულება „ზოგი ქირი მარგებალია“.  
ეს ქათმის ქირი ვაია, მარა ახლა ძროხის ქირს არ



# მირდაპირი მწვთვლი

ქ. ახალ სენაკიდან.

ოკითხეთ რა მარგებალია?! შე ვინცოზ რამოდენიმე ათეულ ყსაბს (როგორც ჩემ ძველ თანამოხელეს) ძროხას ჰირის ვაჭენამდე რომ ფეშტამალისა და მართა დანის მტეტი არაფერი ვაჩნდა, ძროხის ჰირის წყალობით ბათუმში, ფოთში ქუთაისში და ლანჩხუთშიაჲ კი სართულიანი სახლები წამოკმევს. ახლა მკითხველთათვის ჩვენ რესპუბლიკაზე უცხადესია აზრი და მნიშვნელობა მგოსნის „ზოგი ჰირისა“.

ბუტუნა.

## კახეთს

ჰე, კახეთო! საქართველოს მშენებავ, მთელი ქვეყნის სატრფიალო სავანო.. შენისთანა კეყულუცი და ლამაზი ნუ თუ იტყვის ვინმე: ვნახე სხვაგანო! არა, არა. შენ რომ ხარ სულ სხვა რამ ხარ: ნეტარების სამოთხე და წალკოტი. მე მოგიკვდე თუ ვაგცვალო, თუნდ მომცენ შენში აძღროს ასი ოქროს ნაფოტი. მაგრამ მტკიეა გული, როცა ვიყურებ, რომ ცვლავ ისევ ძველებურათ გწველიან, ფუქსავატ ლაპარაკით გატყუებენ, მაგრამ საქმით თავის ჯიბეს შევლიან. ძველადც ხომ სულყვლა შენ გწიწქნიდა ავი საქმე სტქეი ვინ არ დავაყარა; ნუ თუ გსურს ცვლავ ის წამების სამეფო რაც ცხოვრებამ უკვე დასამარა?! თუ ჰოს ამბობ, მაშ წყუულიმც ყოფილხარ, ამოვიწყდეს იხე-ინდაურ-ბატები; საუკუნოთ ღმერთმა არ დავილიოს ვლარშაქას მგზავსი „ღემოკრტები“.

ჯიბიდა.

\*) გელისციხეში-ეოფიადი კომიტეტისა წყვრია; დღემდის მას მართად კაცათ სოფელში სცნობდა ბეკრია.

მაგრამ, როდესაც ებრავთ ფასში ასწაეს ფართალი, ვეველამ კაცო; თუ როგორ ვაღარშაქა „მართალი“.

ადვილობრივი საზოგადოება რომ კარგათ იყოს ვათვითცნობებურებული რევოლუციონურ მოძრაობაში და კარგათ ქონდეს წარმოდგენილი მისი მსვლელობა, აქაურმა ახალგაზღობამ (ქალ-ვაქმა) ვადასწყვითა მორიგეობა ვამართონ სადგურზე; მატარებლის მოსვლის დროს მორიგეობა ვაძლიერებულთა და მორიგეობს 215 წყვილი. საბუკები აგზავნიან ხუთხუთ წარმომადგენელს. კომიტეტები სამ სამს, რევოლუციონური პარტიები ორორს, ხოლო არა რევოლუციონურნი ათათს, (ყველანი წყვილათ).

მარტილის ჩაიონის კომისარიდან მახრის კომისარს მოუვიდა შემდეგი დებეშა: ექიმ ჟორდანისა \*) ოთხი საათთა სიმინდის კაკალზე დაჩოქილი ყავს ყველა მოწინავე ამხანაგები, ვთხოვთ მიიღოთ ზომა.“

იქიდანვე მახრის აღმასრულებელ კომიტეტს თავმჯდომარემ ანხ. გ. მალნარაძემ ამის შესახებ მიილა შემდეგი დებეშა: „გუშინ ექიმმა ჟორდანისამ მათრახით, მერე ლეკურის ფურლით სცემა კომისარს თუ ჟორდანია არ იქნა აქედან ვადაყვანილი ჩვენ ყველანი ხვალიდან ვიფტცებით თავმჯდომარე ჩელა ჩელაია,“ ამაზე კომისარმა და ანხ. გ. მალნარაძემ შემდეგი დებეშა ვაუგზაენა მარტილის კომისარს:

“ჩვენ არ გვწამს, რომ ექიმი ჟორდანია ველურ რამეს ჩიოდენს, ცხადია თქვენ ხუმრობთ. ის აღბათ რევოლუციის ვასაღრმავებლათ შეება ყველა ამის და მასთან შეიძლება მედიცინური თვალსაზრით საჭირო იყუ მასყავ. ვთხოვთ დაუყოვნებლივ შეუდგეთ თქვენი პირდაპირა მოვალეობის ასრულებას ასრულებ: რევოლუციის ვაღრმავებას და ვაფართოვებას იმ გეგმით როგორც ჩვენ აქ ვანგემა-რტეთ.“

ახალ-სენაკი—მახრის მილიციონერებს დებეშ არგათ 7 სტენი. ბრალს სდებენ კომისარს. ოქმი შედენილია.

\*) ამ სუჯვთავო გემრის თაგის ქაღის მოხაზულქბას ამ დღემში ვაუგზავნით ანხ. ეშმაკს, რომ ფართო საზოგადოება გტენოს.



— 1 ნომბერს ღამე ფოსტა-ტელეგრაფის კონტრაში მოხდა შეტაკება. კაი ხნის სროლის შემდეგ გაიპარჯა ძმა ბიკუშმა, ჯძის მეთაურობით. მიწველებულ მილიციის სროლით უპასუხეს. კანტორის ეზოში გამოცხადდა რესპუბლიკა.

— 29 ოქტომბერს ქალაქის თავს დიეკარგა ორ გირვანქა ნახევარი ყველი სულგუნი (სწორეთ ისეთი, როგორც ახმ. ეშმაკს უკვარს\*), ბრალი ედგება მახრის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდენტს.

— სამაზრო სასუსათო კომიტეტმა შემდეგი რადიოტელეგრამა დაგზავნა ყველა ქვეყნის ბურჟუეზებისადმი: „ყველას, ყველას გისაც აქვს ჩითეულობა, რკინეულობა, პურის ფქვილი, თუ ხორბალი, შაქარი და ჩაი, ვინც ზემო აღნიშნულ საწვავებს გამოგვიგზავნის მიიღებს ჩვენგან სიმინდის ფქვილს, თხის თუ სხვა ხორცს და მგერულ ყველს.“

**წუგდიდ:** ყაჩაღებმა ქალაქს დაადგეს კონტრიბუცია 5 მილიონი მანეთი, ტყვეთ წაიყვანეს მახრის კომისარია და მილიციის უფროსი. სენაკიდან მოსაშველათ ჩამოვიდა მფრინავი რაზმი ყოფილი ბოქალური ახვლედიანის მეთაურობით, რომელიც დაპირებია ყაჩაღების ცოცხლათ ჩამოყვანას, რის ჯილდოთ მიიღებს „პარტიის წევრობას“.

**ოჩემჩირე:** გამოაცხადდა აფხაზეთის დემოკრატიული რესპუბლიკა. თავმჯდომარეს ეძებენ.

ოჩოკოჩი.

## ზასუქის ჰასუსი

ჩემს გულთიად მტერს, ორგულს, ამხანაგს და მოქალაქეს „ცეცხლს.“

ჩემო საუკუნოთ სახსენებელო, სანთელ-საკმელოდ შესაწირავო და სანეტარო ძმაო ცეცხლ! ეს იყო 3 კვირის გულის გამაწყობებელ ლოდინის შემდეგ მივიღე შენი წერილი ახმ. მორიელის ხელით. ცა ქაღალდათ არ მეყოფა და ზღვა მელნათ რომ ერთბაშად გადმოვანთხოო ის უზომო აღტაცება, რომელიც შენმა წერილმა გამოიწვია. სადამოს რვა საათი რვა წუთი და რვა წამი იქნებოდა, რო-

დესაც მე ერეენის მოედანზე შეხვედნის ნაცნობ გახეთის დამატარებელს „მათარხის“ გამომცემთა და ის იყო უნდა ჩემგდარეკავ 1 № ტრამაევის ვაგონში, რათა დროზე გამოცხადებულიყავ მუშტიდის დემოკრატიულ კლუბში—ინტერნაციონალისტ-ობორანეც პარაენეც-გაერთიანებულ-განცალკეეებულ-მენშევიკ-ბალშევიკ სოციალ დემოკრატების ლექცია-მოსხენებაზე, რომ უეტრათ ეშმაკის მათარხის\* მე 11 გვერდზე თვალი მოვკარ შემდეგ: „წერილი გურულ ბიქსო“ და ბოლოში კი „ცეცხლ“ მე მყისვე \*\*) ჩაჯექი ვაგონში და სწრფე\*\*\*) გავექანე დანიშნულებისამებრ. ვკითხულობდი და თან ჩემს პატარა, უზომო ღამაზე უღვაშებში მეცინებოდა.

მაგრამ დახეთ ჩემს გაკვირებას: სულ რამოდენიმე წუთი და ნათელუდის განმანწილებელ პუნქტში გავადენდი ფეკას, რომ ჩემდა საბედნიეროთ კახეთის მოედნის მახლობლათ ზურგზე მთელი თავისი ამუნიციით 218 პოლკის ორი სალდათი არ შემსუკუბოდა და რბეი ბურჟუეზსო“ არ დაეძახა. ეჭვი არ არის ჩემი პასაჟირ ბოლშევიკი იქნებოდა. აი სადამდის მიმიყვანა, ძმაო ცეცხლ, შენმა წერილმა და მის მიერ გამოწვეულმა სიხარულმა.

მარა ახლა ვადავიდეთ თვით წერილის შინაარსზე. შენ მისაყვედურებ, ძმაო ცეცხლ, აფრიკელ მუსა ცეცხლს მაღარებო. ფვიციე სამას სამოცდა ხუთ სახარებას, სამებას და ერთსებას, შენ თავს, ჩემს თავს, ბოლშევიკებს, მენშევიკებს, და კლეროკიალებს, რომ მე ერთხელაც არ მიფიქრია თუ სახელწოდება „ცეცხლ“ შენი შურაცხმყოფელი და უკანონო სახელი იყო. მე თუ არ ვცდები შენს მეტრიკულ აღმოწერილობაში ხაზ გასმით არის აღნიშნული: ცეცხლ მუხასმე პუზანკალიძეო. შენ კი ძმაო „ცეცხლ“ ასეთი დასკვნა გამოგყავანია, ვითომ აფრიკელი ზუსტი მუხა ცეცხლს მაგვარი იყო, არა ძმაო „ცეცხლ“ რომ ეს ბრალდება უსაფუძვლოა, ამას შენ მიერ მოყვანილი უკვდავი ფაქტებაც კი ღალადებენ, რომ ვერც ერთ ყალბ მანდამეტთან ფედერალისტს თვალზე ვერ დაუხსიეო. მე ეჭვი არ მეპარება შენს უმანკობაში.

\*) შამა გიგისანდა!

ეშმაკი.


\*\*) ისე ავიშენდა ოჯახი!

მორიელი.

\*) და რამეჟს რგინ უგზავნის.

ეშმაკი.

# უკზო უკვალოდ დაიკარგა მთავარსარდალი კერენსკი



ო შლინტ -

კერენსკის ეძებენ!  
არ იქნა, ვერ ნახეს,

(„ობისკი“ ვერ უქნეს  
ლონისა ყახახებს).

წერილის დასაწყისში მოგვაცხად შეუდარებელი პოეტური ბუნების აღწერა, რაიც თუ არ ვცდები განსვენებული მგოსნის, სოლომონ ზურგიელის აღზომიდან უნდა იყოს ამოტურწული და აღნიშნავ იმ ფაქტს, თუ რისთვის იკადრე ჩემთან წერილის მოწერა და ასე უზომოთ გამაბედნიერე. მერე ამბობ: შენ რომ არაფერი იყავი და არც იქნები მე ქე ვიცოდო. შენ უნდა გკოდნოდა ძმაო „სეცე“, რომ მე ბზუილი არ მიყვარს. და არც თავიანს ვცემ იმ მოტარტალეს რომელმაც განუყრუა ყური ჩვენი, ვერ მისცა გონებასა ჩვენსა ნათელი. შენ რომ აღეგორისი ახსნის უნარი გქონოდა და რწმუნდებოდი, რომ ნამდვილი რევოლიუციონერი შე ყყოფილვარ და შენ ფსევდო რევოლიუციონერი.

შენ კი ხმა მალლა გაიძახი: ნამდვილი სახალხო ლამპარი ვარო, შენ თუ ლამპარი ხარ ბიკო, მაშინ მე ჩირაღდანი ვარ და იგია. ტყვილა კი არ თქვა ძმაო „სეცე“ განსვენებულში პოეზიის ლმერთმა სოლომონ ზურგიელიძემ: „მე სულ ეხვა ვარ, სხვა სულდგმული და სხვა და სხვა რამეები“,ო და ნუ გიწყინება, თუ რომ პატარე წვეიტრაბახოვო. შემდეგ შენ ეხები, ძმაო სეცე, ჩემს ტანადობას არც ერთი თფილისელ მოქალაქეს ეკვი არ ეპარება და ამ უკანასკნელის პრიზითაც კარგად მაქვს დამშვენებული გულ-მკერდი სულ რაც შეეხება „უნდომობას“ მე დარწმუნებული ვარ და შენც დამეთანხმები აქ შენი ჩუბიქტიური ელემენტა ჩარეული. დასამტკიცებლათ ავიღებ თუ ავიყვან



## გაზვიადება და გადაჭარბება



მოძალადე? ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!  
ამ ბალშევიკების სიმხეცეს რომ ვკითხულობ თმები  
ყალბზე მიდგება.

ისევ შენ ძმაო ცეცე: „სინაზულით ერთი იმფერი შეუბტი პრისუტსტვიეს სეკლეტარს რომ დივენახე ჩემს ასტროჩქის ქალაღდს ფურთხაშ-ფურთხაშით გა-მინხიდაო.“ აი ბიჟო საღ გამოგობარდღაღდა ყვაევი! აბა ამ შოლოხის საუკუნეში კიღვე მუიოვება ისეთი ადამიანი, (თუნდაც სოფლის მაწაფღებელი) რომ დღეს ჯარში არ იყვეს და რეოლიუციას თუ კონტრ-რეოლიუციას არ ემსახურებოდეს? კირიანი და ნაწამლი კი მინახავს ასტროჩქიანი მარა უჭირო კი არა. აქედან ძმაო ცეცე მე დარწმუნებული ვარ შენებურ დასკენას გააკეთებ ვითომ კირიანი შენ იყო. არა ძმაო ცეცე შე შოლოღ მგვაღითათ ავიღე შენ.

შენ ერთი კარგი ამხანაგი პოლიტიკოსი მასწა-

ვღებელი გყოღებია. ეგ ხომ იშვიითია ჩემს წარმო-დგენაში, ძმაო ცეცე, ისეთი ს. მასწავღებელი რომელსაც კიღვე დარჩენოდეს თავისუფალი დრო უღპობელი და სავალალო კუჭის საკითხი მო-ეგვარებვის და კიღვე პოლიტიკას შეებოდეს. მარა ყველა ამის სტატისტოკური ცნობები აშკარად ამტკიცებს მას მოსღის „ივერია ცნობის ფურცელი“ „კოლხიდა, „კლდე“ და სხვებო. ეს ცნობები აშკარად მოწმობენ აგრეთვე იმას, რომ შენი მგვობარი ბალშევიკი უნდა იყვეს, ვინაიღან სხენებულ გაზე-თებს თუ არ ვცდები ამ რამოდენივე ათეული წლის უკან პარტიკული გუნია ზელმძღვანელო-ბდა, და მის მიერ შეზობილი „ზავის პარტია“ შე მესმის როგორც ბოლშევიკების პარტია, ახლა ძმაო





# ცნობები რედაქციას.

(შირღაშირი შავთულით.)

ბო, რაცხა სოციალ-დემოკრანტიო კილდომ მენწე-  
 ვიკიო პროლეტარიო, რავა მავს ვიფიქრებდი რომ  
 მე კილდომ იგი ხვეწნა და მურღუ-ნათლულობა  
 დამქირდებოდა. რავა მავს წარმევიღვენდი? მი  
 რავა მეღონა! რავა, პირველთა რომ რაცხა რელუ-  
 ცია მოხთა იგი ვამიხარდა რომ აწი ჩემი სუქან-  
 სუქანი დელღების და ვარების ქამა მე თვითონ  
 მომიწვესმეთქინ, და ამ დილას იაღონში ქუქის  
 წყალში კალმანიხა დღლაფუნი რავა დამქირდებოდა  
 მეღონა. მაშინ ქეშინც რაცხა ან ფული, ან საქო-  
 ნელი ვამივიღოდა, სულ რომ რაცხასგესხებია—  
 გვეღებია ქეშინც ვააწყობდი რაცხა ახლა მშავ  
 თუ ნაშტარიო კიი ნაცნობი არ ხარ და კიი მავარგ  
 „ზღარასტი“ არ ვაქ ვინცხა კოპიტტარიო და კო-  
 მისარიაო, ისე მშავ ტუელიო იმედი არ გქონდეს  
 რამეს გევაწყობო, ასე ახლა ჩემი საქმე, გუშხამ  
 ამ დსაქცევ ოზურგეუში მინდოდა რაცხაი  
 პაწიი ადგელი მეშონ; დიდი რამე არ გეგონოს.  
 ეგება ამ ჩვენს დიდ „კომიტეტში“ გგონია, ან  
 უპრადაში? არავ მშა ანდა აი ახალ ვახსნილი კან-  
 ნახისტებაში. არა კაცო, და ან კოპიტტარიაში  
 კიდეც ან ფოშტაში და ქალაქის აფთიაქაში კი არ  
 იფიქროთ. მავენს ჯვარი სწერია...

აი კაცო სადაც თელი დემოკრანტები „ბუკო-  
 ბენ“ სადაც თელი ჩვენებია, ან რაცხა მასწავლებ-  
 ბმლებია, ვიფიქრე კაცო აქანაი რავა მეტყვიან ვარს-  
 მეთქინ, მარა არ შეგვაშოს ქირმა, თურმე რაცხა  
 „პროტექცია“ აქანაი გინდა კაცს, თვარგუყავს ან  
 კომისარიო და ან კომიტეტო ნათესავი ან ბიძიე—  
 ბიძაშვილი ისე ვინ მოვაშავებს რამეს. მივედი და  
 მითხრეს: „თქვენ ვარი გეცხადებთ ადგილზე, რა-  
 დგანაც თქვენ კარგათ ვერ გიცნობუნო“.

აფერი, რადას გიხამდი! ვაგჩუბდი და ქე წა-  
 მოვედი შინ, ახლა ვიფიქრე ისევე ჩავდგი ოჩე-  
 რღში“ და რომ დეღლევა აი „პროტექციანი“ კა-  
 ტეკორია“ მერე რაცხა კი მომიწევს მეთქინ, თუ  
 ამანაც არ ვასკრა მაშინ სხვაფერ მოვქცევი: სსიძო  
 ბიქი ვარ; მოვიყვან ქალს, შვილი შემეძინება,  
 ვიზამ ერთს დიდ კამანასს, მოვნათლოვ ამ ჩემს  
 ბაღანას, მოვანათლიებ კომისარს პოპოშნიკს, ქალა-  
 ქის თავს, ხაზინადარს, სუდიას, პროვოზორს, კო-  
 პერატიეს უფროსს, მასწავლებლებს რავიცი, ერთი  
 სიტყვით მთელ ოზურგეთს თუ კი ამითავდა სახარ-  
 ჯო და მერე იცოცხლე, მასწავლებლობას კი არა  
 ეგება დეპუტატთა სიაში პირველ ნომერში წამო-  
 მაყუდონ.

**ს. ზნაკვა.** ადგილობრივი კოპერატივი „გლე-  
 ხის იმედი“ ძალაზე გამოხრული აღმოჩნდა ორფეხა  
 თავგებისავან. მათ წანაღმდეგ საბარძოლეღათ სა-  
 ზოვადებამ, გამოიწერა ოთხი ვავონი მშვიერი კატა.  
 მანამდის კი, სანამ თავები არ მოისპობიან გამგეობამ  
 საქიროთ სენო გამოუცვალოს კოპერატივის სახე-  
 ლი და ნაცვლად „გლეხის იმედისა“ დაარქვას „თა-  
 გვეხის იმედი“.

**ქიღანე.** აქაური ხალხი დიდათ, დაჯი-  
 ლოვებულთა ბუნებისგან მუსიკალური ნიქით. ამას-  
 თანავე მას ტეტოური გრძნობებიც მეტათ განვი-  
 თარებული აქეს. აი ინებეთ დამამტკიცებელი სა-  
 ბუთად მოკლე, მაგრამ უტყუარი სტატისტიკური  
 ცნობა: მთელი ზნაკვაში ირიცხება 300 მამაკაცი.  
 აქედან მვარღუნე არის 1500; მევარმონე 300 მეღოლე;  
 1991/2 და დანარჩენები კი სხვა და სხვა ხელობას  
 მისღვენ.

**ს. ნიკორწინდა.** აქ შესღდა ლოთების პო-  
 ფესიონარული კავშირი. წვეგრებისთვის სავალდებუ-  
 ლოა: 1) ჰქონდეს ტიკის მგზავსი მუცელი, რომ  
 თავისუფლათ შეიძლებოდეს როგორც შიგნით ჩას-  
 ხმა ღვინისა, აგრეთვე გარეთ ვადმოსხმაც; 2) ზედ  
 მიწვენით უნდა იცოდეს ლანძღვა-გინებაში სახმა-  
 რებელი ყველა ტერმინები. 3) უნდა ემარჯვებოდეს  
 დუქენებში რეფოლგერ სროლა. 4) აუცილებლათ  
 თუ ზუთჯერ არა სამჯერ მაინც უნდა ექნეს თავი,  
 ან ცხვირე ჩხუბში ვატეხელი, და 5) თავისუფალი  
 დრო დღე და ღამეში ჰქონდეს 26 საათი. ჯერჯე-  
 რომით კავშირის წვეგრია რაოდენობა მხოლოდ ერთ  
 პოლქს უღრის. მილიციის წვეგრები ღებულობენ  
 მზურვლე მონაწილეობას. კავშირმა შეიძინა დრო-  
 შა შემდეგი წარწერით „ლოთობაში ჰპოვებ შენსა  
 უფლებას“.

**ქიღანე.** ლოთებისგან მოსალოდელ დე-  
 ბოშის თავედან ასაცილებლათ კვირა დღეობით  
 ადგილობრივ სამკრხველოს მეთავლუურეთ დანი-  
 შნულია ანხ. ბოქლომი.

ტარტაროზი.

კახი.

# კონსტრ-ჩეპოლიუსია

(სიზმარ-ცხადი, ერთ მოქმედებათ).

მოქმედენი პირნი:

პეტრე.

სიკო.

ნაიკოლზ შეორე.

გრ. რასპუტინი.

პროტოპოპოვი.

მისელები — ს. რ., მეწერელისნი — ს. დ., მონარქისტები, სოფ. პარტეები (ს. დ. და ს. რ.), გაერთიანებული პურჟუზა და მისი წარმომადგენელი, ფერეები, ეშმაკები, მსჯელთა-მთავრები. ფსდრები, პოლიტიკალები, და სხ.

(სცენა წარმოადგენს პატარა ოთახს, — ერთი კართა და ორი ფანჯრით. შუა-გულ ოთახში სდგას მოზრდილი მაგიდა, რომელზედაც აწყვიი წიგნები, საწერ-კალამი, ღრაფინკა, კიკა და სხ. მაგიდის პირდაპირ ქერში გამოკიდულია ელექტრონის პატარა ასანთი. აქეთ იქითა მხარეს სდგას ორი დაგებული ტახტი; ოთახში არის აგრეთვე რამოდენიმე სკამი და ეტაჟერკა. კედელზე ჰკიდია კალენდარი და გამოჩენილ პირთა სურათები. ზაფხულის მოწმენდილი ღამეა. ფარდის ახდისას სცენა ცარიელია, — განათლებულია მთვარის მკრთალი სინათლით, — პატარა ხანში ფეხის ხმა მიატანს და ოთახში შემოვლენ პეტრე და სიკო).

პეტრე. უ, რა რიგად ცხელა ამ დასაქცევიში! (ფანჯრებს აღებს).

სიკო. შენ სიცხეს ჩივი, და მე ამ ოხერი კონტრ-რევოლიუციის შიში მათავებს, (ელექტრონს გააჩაღებს).

პეტრე. ნუ გეშინია, ჩემო სიკო, ძველი რეჟიმის დღეები საუკუნოთ დათვლილია (წყალს ასხამს და სვამს).

სიკო. ნეტარ არიან მორწმუნენი, რამეთუ მათთან არს სიმშვიდე სულისა.

პეტრე. ხალხმა უკვე იგემა თავისუფლების ტბილი ნაყოფი და აწ მას უსიკვდილოთ აღარ დასთვობს. (ჯდება).

სიკო. ჩემის აზრით, ამ ბოლონდელი დროს ამბებე იმას მოწმობენ, რომ რევოლიუციონური მასის გემოვნება ვერ არის ჯეროვანათ განვიითარებული.

(ლოგინთან მიდის და დასწრობის გზად).

პეტრე. პროვოკაცია და ანარქიური ხასიათის გამოსვლები, რასკვირველია, საქმეს ენებს, რევოლიუციის ვალრმაგვებს ხელს უშლის, სწორათ იწვევს ძმთა შორის უშიზო შეტაკებასა და სისხლისღვრას, მაგრამ ყველა ეს რევოლიუციის ძლევა მოსილ მიმდინარეობას ვერ შეაჩერებს... რევოლიუცია ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს და ბრძოლიდან სრული გამარჯვებული გამოვა; ეს ასე მოხდება, რადგანაც ამას მოითხოვს ხალხის ბედნიერება! (ფეხსაცმელებსა და ხალათს იხდის).

სიკო. ბედნიერება ჰვერ რაშეს მოითხოვს, მავრამ... (წვება).

პეტრე. სიმართლემ უნდა გამიმარჯვოს! სიკო. მე შინც გვრძნობ გულის სიღრმეში რადაც გამოურკვეველ შიშს.

პეტრე. ლაჩარი ხარ და შიტომ. (სათს დახედავს) ბიკოს, პირველი სათი სრულდება! დაეძინათ, თორემ... (სინათლს აქრობს და წვება).

სიკო. შენ დარწმუნებული ხარ, რომ რევოლიუციას სფრთხე არ მოელის?

პეტრე. სფრთხე მოელის, მაგრამ დამარცხება არა. (პაუზა).

სიკო. ერთიც ვნახათ, — ძველი რეჟიმის მოტრფილვ ხალხმა გამარჯვა და ტახტზე ისევ იკოლოზ შეორე ავიდა...

პეტრე. მერე?

სიკო. შეტი სფრთხილვ გემართებს. მაგალითათ, რა საქროა სარეგისტრაციო წიგნებში პარტიის წევრების ნამდვილი ვინაობის აღნაშენა? საქმე რომ წახდეს, იმ წიგნებს ხელში ჩაივლებენ, და ჩენი სიკოლვე ძალი არ იქნება. ყველას გამოგვკიდებენ.

პეტრე. საქმე ნუ წახდება, თორემ იმათ ხელში სიკოცხლეს ისევ გამოკიდვა სჯობია.

სიკო. მაგი შეუძლია სთქვას ისეთს კაცს, რომ შელსაც სიკოცხლის ღირებულებაზე არავითარი წარმოდგენა აქვს! სიკოცხლვ ისეთი რომ არის, რომ...

პეტრე. რა ჯანდაბათ გინდა გამწარებული სიკოცხლვი!

სიკო. კი, მაგრამ... სიკოცხლვ... სიკოცხლვზე ასე ზერვლეთ ღაპარაკი...

პეტრე, კარგი, თუ ღმერთი გწამს! რწყილი



საქრებულო  
საქართველოს  
საბჭოთა მთავრობის

აქლგმით ნუ გტყვინდება, უსაფუძვლო შიშით გულს  
ნუ იხეთქ! დიძინე, ხომ იცი აღრე ასადგომი ვართ?  
სიკო. ყოველ შემთხვევაში, სიცოცხლე...

შეტრე. ეეე... რა ლაჩარი რამა ხარ! კაცო,  
დაიჯერე, რომ არავითარი განსაცდელი არ მოე-  
ლის არც რევოლუციას და არც შენს სიცოცხ-  
ლეს! (დიდი პაუზა).

სიკო. მინც რა უშავს, რომ სარგვისტრაცო  
წიგნებში პარტიის წევრები ფსევდონიმებით იწვრ-  
ბოდნენ? მეტა სიფრთხილე, თუ არ გვარგებს, რას  
გვაწვდის?

შეტრე. შინავეს, არაფერი მესმის?  
(ლაპარაკი შეწყდება. ჩაძინებათ. სტენაზე სამა-  
რისებური სიჩუმე ჩამოვარდება. მთავარ დასაფლე-  
თსკენ დაქანება, და მისი სხივების ერთი კონა  
ფანჯარაში ისეთ ნიჩაოთ შემოიკრება, რომ პირდა-  
პირ სიკოს მიაშუქებს. სიკო კშაყოფილებით გაი-  
დიმებს, სახეზე ბედნიერების სხივი აუთამაშდება.  
ამ დროს სტენა უცებ დაბნელება, და სურათი  
ერთიანად შეიცვლება: შაყურებელთა თვალ წინ  
გადაიშლება თვალთაწარმტაცა ბილი მშვენიერი  
ყვავილებითა და ხეივლებით. მარჯვნივ მოსჩანს  
შშირი ტყე, ხოლო მარცხნივ ცეცქი ნაკადული.  
სტენის სიღრმეში ყურადღებას იპყრობს ნახევრათ  
დანგრეულ-დამსხვრეული ციხე-კოშკი, რომლის  
ძირში გველივით მიიკანკლება უხარშაზარი ღვრიე  
მდინარე... ბაღში ასმის ჩიტების მხიარული ქიკვი-  
კი. ნაკადლის პირას მხარ-თეთოზე წეეს ყვავილე-  
ბით გარე-მოცული სიკო და ტკბება ჭარემოს  
მშვენიერებით. ტყიდან გამოცქრილდებიან თმბ-  
გაშლილი და ფხვ-შიშველა ფერიები. სტენა ვარ-  
დისფრათ განათდება. მოსმის მუსიკის საამურო  
ხმა).

ზანგული ფ. კერბი პირშავი  
დაიმსხვრა, შტრათ იქცა,

შეოჩე ფ. ძველი ქვეყანა  
დაეშო, დაიქცა.

შესამე ფ. სინათლემ სიბნელეს  
ხელები დარია,

შეოთხე ფ. სინათლემ ზეიმობს,  
სიბნელემ კვდარია.

შეხუთე ფ. ქება და დღება  
მძლეთა-მძლე სიყვარულს,  
უმისოთ არა აქვს  
სიმტიცე სიხარულს.

ვევლა კრთ-სმა: ქება და დღება  
მძლეთა-მძლე სიყვარულს,  
უმისოთ არა აქვს  
სიმტიცე სიხარულს.

შეექსე ფ. მო, დანა, დაჯრიფოთ  
ყვავილი, ვარდები,  
ხელს ველარ შეგვიშლის,  
ეკალი, ბარდები.

ვევლა კრთ-სმა: დაჯრიფოთ, დაჯრიფოთ  
ყვავილი, ვარდები,  
ხელს ველარ შეგვიშლის  
ეკალი ბარდები.

(გაიფანტებიან, დაიხრებიან და ყვავილების კრებას  
იწყებენ. უცებ დაიგრგინებს. სინათლე ფერს  
ჰკარგავს, შერთალდება. ციხე-კოშკის ნანგრევების  
შუა-გულიდან მოშავო კვამლი ამოვა, ფერიები  
შეშინდებიან, ყვავილების კრებას თავს შიანებენ  
და ერთად შეგაუფდებიან. სიკოც შეკრთება და  
სულს განაბავს).

ზანგული ფ. დებო! შეხეთ—ბოროტების მუ-  
დიდან შავი კვამლი ამოდის!

შეოჩე ფ. გოჯრდის სუნსა ვგრძნობ!  
შესამე ფ. ცას მოშავწითლო ფერი გადაეკრა!  
შეოთხე ფ. რაღაც უნდა მოხდეს! შეშინია!  
(დაიგრგინებს).

შესუთე ფ. საშინელების წინამორბედი წამია!  
შეექსე ფ. დებო, დავიშალოთ, დებო, შეშინია!

(ნახევრათ დაბნელება, დაიგრგინებს. ციხე-კოშ-  
კის ნანგრევების შუა-გულიდან შავს კვამლს თან  
ცეცხლის უხარ-მხარია ბლი ამოპყვება. დედა მიწის  
სიღრმიდან მოისმის საყვირის ხმა. ცეცხლი ნელ-  
ნელა ჩაქრება და მის ნაცვლათ გრ. რასპუტინის  
შავით მოსილი ბარდილი ამოიბართება. მას ხელში  
საყვირია ფერიები შიშისაგან ცახცახს დაიწყ-  
ბენ, სიკო ყვავილებში ჩაიშლება. რასპუტინი აფ-  
სულთ მოიხმობს)

რასპუტინი. განახლებული ქვეყანა  
უნდა დაიგრგეს სრულათა!  
შემოკრბით, ქვეყნის სიკეთეს  
ვინც უტკბოთ ჩემებრ მტრულათა!

—  
ბოროტო სულნო! ბუნავი  
დატოვეთ... დრო საშურია!

ჩემსკენ ისწრაფე, ვისაც ძმის  
და მოყვასთ სისლი გწყურაი!

(საყვირის დაუქრავს, ზღინარის ოღრო-ჩოღრო ნაპირებოდან ეშმაკები ამოძვრებიან. ფერიები ტყისკენ მიიბარებიან, სიკო თვითღებზე ხელს მიიფარებს და პირქვე დაეშხოა. საყვირის ხმა თან და თან ძლიერდება. ეშმაკები ერთმანეთთან მიდიან და გასაღებნიან. ამ დროს იეღივებს, იქექებს და... სცენა ერთბაშით დაბნელდება. ქუქა-ქუხილითან ერთათ ისმის მტვრევა-მსხვრევა, ლაწა-ლაწი, და ავსულთა მზიარული სიცილა-ხარხარი. თან და თან ყველაფერი დაწყნარდება, და სცენა ისევ განათდება. იეღე მიდამოა, მაგრამ მსრულიად გატიალებული: აღარ არის ტურფა ბაღი, აღარა სჩანს ლამაზი ტყე, დამშრალია კეკლუცი ნაკადულიც. სცენის შუა-გულში მოგროძო მაგიდას უსხედან ნიკოლოზ მეორე, რასპუტინი და პროტოპოპოვი. მაგიდის მარჯვნივ ჩამწკრივებულან მონარქისტები, მარცხნივ სოც. პარტიის წევრები; ცენტრი გაერთიანებულ ბურჟუაზიას უჭირავს. წეს-რიგს მხედართ მთავრები-თანდრები და პოლიციელები იცავენ).

ნიკ. მეორე. (მარჯვნივ). მოყვასნო! მშვიერი ვიყავ და თქვენ მაშამეთ, მწყუროდა და თქვენ მასვით, ტყვე ვიყავ და თქვენ მნახეთ, ტახტი დავკარგე და თქვენ დამიბრუნეთ. თქვენთვის მზათ არის ჩინებული სადილი, სადაც მეფე-დედოფალი დაღვეს თქვენს სადღეგრძელოს. ურა!

მონარქისტები. ურააა!... დღე-გრძელ იყოს მეფე, გაუმარჯოს დედოფალს!

ნიკ. მეორე. (მარცხნივ) მძღარი ვიყავ და თქვენ მიმამიყვით, ღვინო ბევრი მქონდა და თქვენ მიმამწყურეთ, თავიფალი ვიყავ და თქვენ დამატყვევეთ, ტახტზე ვიჯექი და თქვენ ჩამომადღეთ. თქვენთვის მზათ არის სახრჩობელა.

ხემა მარჯუნაძან: სიკვდილი მგათ...

ნიკ. მეორე. (ცენტრს) თქვენ ხელი შეუწყვეთ ჩემს დამცირებას!.. თქვენ წაგვალთ კატარაღში! რასპუტინი. თქვენ სიკვდილის დასჯის ღირსი იყავით, მაგრამ ჩემი თხოვნით გულ კეთილმა მეფემ შეგიმსუბუქათ, მე მძიმე ხვედრი დიდ არს გულგრძელობა გელოვინოსნისა!

ხემა. დღე გრძელ იყოს მეფე, გაუმარჯოს მეფეს!

პურ. წარმომადგენელი. მოწყალეო ხელმწიფეო!

ნება მიბოძეთ თანა-მოაზრეთა... უღრმესი მადლობა მოგახსენოთ იმ უფი პოწყალნიშათის, რომლითაც თქვენმა ხელმწიფებმა ჩვენი კრებული გააბედნიერა. ამასთანავე მოგახსენებ, ლმობიერი მეფეო, რომ ჩვენ იმედი გვაქვს სასჯელის სრული პატიებისა. მართალია, აჯანყების პირველ ხანებში უწყსობაში ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა, მაგრამ დაიწყებას არც ის უნდა მიეცეს, რომ ჩვენმა ამ ბოლონდელმა მოღვაწეობამ გადამქრელი როლი ითამაშა თქვენი მეორეთ მომსვლის საქმეში, ეს რომ ასეა, ამახ, მაგონი, შემოარჩვენ ამხანაგებიანაც ბევრი დაგვიმოწყობებს.

ხემა. (მონ. ხან:) მართალია, მართალი... ვამოწმებთ... მართალს ამბობს!

პურ. წარ. დიახ, დილო ხელმწიფეო, თქვენთვის რაიმე ვნების მოყენება ჩვენს პროგრამაში არასოდეს არ შედიოდა. ჩვენ ვითხოვდით მხოლოდ უმნიშვნელო რეფორმებს... ჩვენი სურვილის წინააღმდეგ მომხდარმა აჯანყებამ ძალი უნებურათ ჩვენც ჩავივთრია, მაგრამ... გონება ერთი წაშითაც არ დაგვიკარგავს: ჩვენი მეცლინებობით შეჩახ ძვირფას მეფის სიკოცხლე, ჩვენმა ვაზნულმა მოქმედებამ შეუწყო ხელი მის ხელმეორეთ გააფიქებას. მეფე ბატონო! ჩვენ ყოველთვის თქვენი ერთგული მსახურნი ვყოფილვართ, ვიქნებით შემდეგშიც! ნუ იხებებთ, რომ ეგ ბედნიერება წაგვერთვას... გვაცხოვერეთ და გვიმსახურეთ!

(ნიკ. მეორე, რასპუტინი და პროტოპოპოვი ჩემათ დაჰმბენ. ბურ. წარ. უხმოთ ანიშნებს რასპუტინს ბაგუხმაროდ და ფეხი, რამდენიმე გნებათ, ადგეთ. რასპუტინიც ამცნობს—ნუ გეშხანათ. ამახ შემდეგ ის რაღაც რჩევას მისცემს ნიკოლოზს. მეფე მას დაეთანხმება, პროტოპოპოვიც კმაყოფილი).

ნიკ. მეორე. წყალობითა ღვთისათა, მე ნიკოლოზ მეორეს, თვით მყრობელს სრულიათ რუსეთისა, მეფეს პოლონეთისა, დიდ მთავარს ფინეთისა და სხვათა, მიბატონებია თქვენთვის სასჯელი. დღეს ჩემთან იქნებით სადილათ. მეფესა და დედოფალს განზრახვა აქვთ ერთგულ ქვეშევრდომთა სადღეგრძელო დალონი. გაუმარჯოს რუსეთს ურა!

(გაისმის გამაყრებელი «ურა». შიგა და შიგ ისმის ხემა: «გაუმარჯოს მეფე», «დადება დედოფალს», «სიკოცხლე მეფეს!» ყვარაიან მარჯვნივ და ცენტრში. ბოლოს რამოდენიმე კაცი დაიყვირებს სოც.



ბანაკშიაც. ეს გაეროვება ყველას უურადლებას მიიპარობს).

ნიკოლოზ. მომეყურა თუ?!

ზნორტაშაშაფი. არა, მეფეო, რაღაც საიდუმლოებაა... მეფეს გაუშარჯოსო!

რასპუტინი. ხელმწიფევე, იმათ რიცხვში ბევრი საიმედო პირია. (პროტაპოპოვს) გამოიხმეთ... გავიგოთ რაშია საქმე.

ზნორტაშაშაფი. (მარცხნით). მაქ ვინ დიძიხა მეფეს გაუშარჯოსო?

მოსხლე. ერთათ მე დავიძიხე... მე უბედურმა... (გამოვა და მეფის წინ დაიჩოქებს. ტირის).

ზნორტაშაშაფი. თქვენ სოცილისტი ხართ?

მოსხლე. აბა რას ამბობთ თქვენო აღმატებულებავ. ვინ მე და ვინ სოცილისტისი ოც-და-ათი წელიწადი ხელმწიფის სამსახურში გამოიარებია... მაშისავეთ მიყვარდა... განა შემედლო მისთვის მელა-ლატნა? მაყანაწლოვება რომ ტახტიდან ჩამოაგდეს, ჩვენც დევნა დავიწყებ. თავი რომ განსადელისი-გან დამეხსნა, ავდექი და სოცილისტობა დავიწყე... დიდი ჯაფა გადაწყდა... ს. დემოკრატებში ან მიმიღეს... მეც ს. რევოლიუციონერებთან ჩავიწერე... ამ პარტიას ჩვენი წრიდან ძალიან ბევრმა შეიფარა თავი (ტირილი თან და თან ერგვა)... ქვეყნის მპყრობელო, შეიწყალეთ ჩემი ცოლ-შვილი! მართალია, მე ვერ გამოვიჩინე შესაფერი გმირობა და შიშის გამო სოცილისტობა დავიჩემე, მარა სიღაჩრე ხომ დანაშაული არ არის, დიღო ხელმწიფევე! (ქეითინებს. რასპუტინი მეფეს რადი-ცას წასაჩურჩულებს).

ნიკ. მეორე. (მოხელეს). მიპატიებია!

მოსხლე. (აღტაცებით) მეფევე, მეფევე!.. (ფორტხ-ვით მაგიდის ქვეშ შეძვრება და ფეხებს დაუკოცნის). რასპუტინი. (პროტაპოპოვს) ამოშალეთ სარეგისტრაციო წიგნიდან!

ზნორტაშაშაფი. (მოხელეს). თქვენი სახელი და გვარი?

მოსხლე. ივან ზახარჩი პობრიაკოვ, თქვენო აღმატებულებავ!

(პროტაპოვი მოსძებნის და ამოშლის. მოხელე მარჯვნივ მიდის. ამ დროს სოც. ბანაკში ჩოჩო-ლი და ხმაურობა ატყდება. აქა-იქ წინ წამოაწევის დააპირებენ).

ქანდაკი. (შეუტრებს) ჩემით დაწყნარდით!

ხეშბი. ჩვენც ძალიან გასაძვირებელი ვართ, პატიებას ვითხოვთ!

რასპუტინი. ამოდენა ხალხი სულ ს. რევო-ლიუციონერების პარტიაში სწერიხართ?! (წინ წა-მოიპრება მეწერილიდან).

მეწერილიდან. მე - ა, ბატონო, მე ს. დემოკ-რატებში ვწერივარ. ღმერთმა იცოდეს, რომ არ მინდოდა ჩაწერა, მარა მიიხრეს: ლუქანს დაგიკ-ტავენო, პასპორტს არ მოგცემნო, საქმეზე ვერ მიდგებო, კაცათ არავინ ჩავადგებო, ხელს აღარ ჩამოგართმევნო... აღარაფერს გკითხვენ; თუ პარტიაში არ ხარო და მიტომ ჩავიწერე. (მეწერილი-დან ჩადგება. მეფე, რასპუტინი და პროტაპოპო-ვი ჩუმათ თათბირობენ).

ზნორტაშაშაფი. ბატონებო, დიდმა იმპერატორმა კეთილ-ინება და სასჯელი აპატია იმათ, ვინც სო-ცილისტურ ბანაკში შიშით ან სხვა რამ საპატიო მიზეზით მოჰყვა.

ხეშბი. დიდება მეფეს, გაუშარჯოს გვირგვი-ნოსანს!.. („ურას“ ძახილი და მხიარული ყვირინა დიდხანს გრძელდება).

ზნორტაშაშაფი. ამასთანავე გაცნობებთ, რომ ორი საათის შემდეგ თავისუფლებას მოვლანზე და-იწყება ნამდვილ სოცილისტების დასჯა. საჭიროა იმ დროს სამშობლოს ყველა ერთგული შვილი იქ იყოს, რათა საკუთარი თვალით იხილოს, თუ რო-გორ ისჯებიან ქვეყნისა და მეფის მოღალატენი... ხეშბი: სიკვდილი მათ, სიკვდილი!

ზნორტაშაშაფი. აპიტომ მოგვიწოდებთ, რომ ეხლავე გაეშუროთ დანიშნულ ადგილისაკენ. (მარცხ-ნით) მეწყნარებულთ წინადადებას ვაძლევეთ—მე-ურეთდენ სამშობლოს ერთგულ შვილებს!

ხეშბი: სარეგისტრაციო წიგნებში ჩვენცა ესწ-რივართ, თქვენო აღმატებულებავ!.. ამოგვეწერეთ, დიღო ბატონო!..

ზნორტაშაშაფი. სარეგისტრაციო წიგნებიდან თქვენი ამოწერა სასჯელის დაწყების წინ მოხდება. ეხლა კი ღმერთს მადლობა შესწირეთ და მარჯვ-ნით გადადით.

ხეშბი: დღე-გრძელ იყოს მეფე, დიდება გულ-კეთილ იმპერატორს!..

(დაიწყება მარჯვნივ გადასვლა. მონარქისტები დი-დი სიხარულითა და აღტაცებით ეგებებიან ცოლვა მიტყევებულთ. ტაშის ცემა და „ურას“ ძახილი)

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ირგულივ ყველაფერს აზნაზარებს. შიგა და შიგ ისის ხმები: დიდება „მეფეს“, „სიკვდილი სოციალისტებს“, „გაუმარჯოს დედოფალს!“ მოულოდნელათ სოც. ბანაკიდან გამოვარდნა სახე გაფითრებული სიკო).

სიკო. შოთმინეთი.. მეც მომისმინეთ! არ იფიქროთ პატივებს ვითხოვდე! არა, ჯერ ასე არ დავცემულვარ, არც დავეცემაი.. მთელ დედაშიწის ზურგზე ვერ მოსძებნით ასეთ კაცს, რომელსაც სიკოცხლე ჩემზე მეტათ უყვარდეს, სიკოცხლის ღირებულებას ჩემზე მეტათ აფასებდეს!.. მაგრამ თავის დამცირებით ნაყიდ სიკოცხლეს ათასჯერ სიკვდილი მირჩენია! რწმენა სიკოცხლის გვირგვინია, და ის, გინც იმას უარ-ჰყოფს იმ მოსაზრებით, რომ სიკოცხლე შეინარჩუნოს, პატიოსან კვდრებსაც შორდება და აღარც ცოცხლებში ურეფია!.. (საშინლათ ღელავს)... სიკოცხლე!.. (შეკრთება).. სულ რამოდენიმე წუთი-და დარჩენილა... (შეშის ზარი იტანს)... თოკი... სული... გავიგუდები!.. ა... (დაბნეულდება, და სანახავი შეიცვლება. პირველი სურათი. ჩამავალი მთვარის შუქი ოღნავ-და ანათებს სკენას. სიკო რაღაცას სწუხს, მოძრაობს, კენსის).

შეტრე. (თავს წამოწევს). სიკო!..

სიკო. ააბ! საშინელებაა, საშინელება! (საკოდავთ აქვითინდება).

შეტრე. (წამოხტება, ელექტრონს აანთებს და სიკოსთან მიიბრუნს. აღვიძებს) სიკო, სიკო!..

სიკო. (გაიღვიძებს, წამოიწევა და პეტრეს მიაჩერდება. სახე საშინლათ გაფითრებული აქვს, თვალები აცრემლებული. კანკალებს). პეტრე შენა?! (გახიზვ-გამოიხდებს, პაუზა).

შეტრე. რა დავემართა, ბიჭო, რა იყო?

სიკო. (დარცხენილათ). მაშ ყველაფერი ეს მხოლოდ სიზმარი იყო?..

d.

(ფ ა რ დ ა)

## რუსეთის ფრანტები.



ბრძოლის ველი ერთობ განვითარდა და ბრძოლის პირთა მონახულობაც საგრძნობლათ დაიწყო. ამას მკვერმეტყველურათ მოწმობს ჩვენი სურათი.